

## HUMAN RIGHTS WATCH

350 Fifth Avenue, 34th Floor  
New York, NY 10118-3299  
Telephone: 212-216-1845  
Facsimile: 212-736-1300

Website: <http://www.hrw.org>

### EUROPE AND CENTRAL ASIA DIVISION

Elizabeth Andersen  
*Executive Director*  
Rachel Denber  
*Deputy Director*  
Veronika L. Szente Goldston  
*Advocacy Director*  
Diederik Lohman  
*Moscow Office Director*  
Julia Hall  
*Senior Researcher*  
Alexander Anderson  
Matilda Bogner  
Julie Chadbourne  
Bogdan Ivanisevic  
Anna Neistat  
Darian Pavli  
Acacia Shields  
Jonathan Sugden  
*Research Associates*  
Alexander Petrov  
*Deputy Director, Moscow Office*  
Liudmila Belova  
Rachel Bien  
Elizabeth Eagen  
Giorgi Gogia  
Ani Mason  
*Associates*

### STEERING COMMITTEE

Peter Osnos  
*Chair*  
Alice H. Henkin  
*Vice Chair*  
Morton Abramowitz  
Henri Barkey  
Barbara Finberg  
Felice Gaer  
Michael Gellert  
Paul Goble  
Stanley Hoffmann  
Robert James  
Jeri Laber  
Walter Link  
Prema Mathai-Davis  
Karl Meyer  
Joel Motley  
Herbert Okun  
Jane Olson  
Hannah Pakula  
Kathleen Peratis  
Barnett Rubin  
Colette Shulman  
Leon Sigal  
Malcolm Smith  
George Soros  
Marco Stoffel  
Ruti Teitel  
Mark von Hagen  
Mark Walton  
William D. Zabel  
Warren Zimmermann

### HUMAN RIGHTS WATCH

Kenneth Roth  
*Executive Director*  
Michele Alexander  
*Development and Outreach Director*  
Carroll Bogert  
*Communications Director*  
John T. Green  
*Operations Director*  
Barbara Guglielmo  
*Finance Director*  
Lotte Leicht  
*Brussels Office Director*  
Tom Malinowski  
*Washington Advocacy Director*  
Rory Mungoven  
*Advocacy Director*  
Maria Pignataro Nielsen  
*Human Resources Director*  
Dinah PoKempner  
*General Counsel*  
Malcolm Smart  
*Program Director*  
Wilder Tayler  
*Legal and Policy Director*  
Joanna Weschler  
*UN Representative*  
Jonathan Fanton  
*Chair*

## არაოზიციანალიზური თარგმანი



### საქართველო: სასტიკი თავდასხმა უფლებათა დამცველებზე საქართველოს მთავრობამ უნდა გამოიძიოს

(ნიუ-იორკი, 12 ივლისი, 2002) – საქართველოს ხელისუფლებამ უნდა დაუყოვნებლივ გამოიძიოს და სამართალში მისცეს 10 ივლისის ადამიანის უფლებათა დამცველი ერთ-ერთი მოწინავე ორგანიზაციის თბილისის ოფისზე თავდასხმელები, განაცხადა დღეს Human Rights Watch-მა.

თვითმხილველთა გადმოცემით, ათიდან-თხუთმეტამდე კარგად ორგანიზებულმა კაცმა სასტიკად სცემა თავისუფლების ინსტიტუტის დირექტორი და ორგანიზაციის სხვა თანამშრომლები, გაანადგურა კომპიუტერები, ავეჯი და სხვა ხელსაწყოები.

“ეს გახლავთ ყოფილ საბჭოთა კავშირში განხორციელებული ერთ-ერთი ყველაზე სასტიკი თავდასხმა ადამიანის უფლებათა დამცველებზე,” განაცხადა ელიზაბეტ ანდერსენმა, Human Rights Watch-ის ევროპისა და ცენტრალური აზიის განყოფილების აღმასრულებელმა დირექტორმა. “ეს თავდასხმა ცხადყოფს, რომ ადამიანის უფლებათა დამცველები საქართველოში სერიოზულ საფრთხეში არიან.”

Human Rights Watch-ი მოუწოდებს ამ ინციდენტის გულდასმით გამოძიებასა და ამ გამოძიების შედეგების საჯაროობისკენ. ის ასევე სთხოვს საქართველოს მთავრობას საგანგებო ზომების გატარებას, რათა დაცული იყოს ადამიანის უფლებათა დამცველების უსაფრთხოება.

თავდასხმის შედეგად მრავალი ჩალურჯებებითა და დაზიანებული თვალით ჰოსპიტალიზირებული იქნა თავისუფლების ინსტიტუტის დირექტორი ლევან რამიშვილი. თავისუფლების ინსტიტუტის კიდევ ხუთი თანამშრომელი იქნა ნაცემი, ერთ-ერთი მათგანი აგრეთვე ჰოსპიტალიზირებულია. ნაცემ თანამშრომელთაგან ერთი მდივანი ქალია. ორგანიზაციის სხვა რამდენიმე წევრი და სტუმარი ცემას გადაურჩა ოთახის კარების უკან ბარიკადების

აღმართვით. სტუმრებს შორის იყო დავიდ გლელუელი, ბრიტანეთის მთავრობის ოფიციალური პირი: ევრო-საბჭოს სამი წარმომადგენლისგან ერთ-ერთი.

თვითმხილველთა გადმოცემით, 10 ივლისს დაახლოებით დღის სამ საათზე ოცდახუთიდან ოცდაათ წლამდე ათი-თხუთმეტი ახალგაზრდა შევიდა თავისუფლების ინსტიტუტის ოფისში. თავისუფლების ინსტიტუტის წევრმა დავით ზურაბიშვილმა გუშინ Human Rights Watch-თან ინტერვიუში განაცხადა:

*ჩვენი ოფისის შემოსასვლელი კარი ღია იყო, როგორც ყოველთვის. რამდენიმე კაცი მშვიდად და წყნარად შემოვიდა. ისინი ათლექტური აღნაგობისანი იყვნენ ... მე ავდექი, რათა მეკითხა რა ნებავდათ. ხმის ამოუღებლად ოთხი-ხუთი მათგანი ჩემსკენ წამოვიდა და დამიწყეს ცემა. სხვები პატარ-პატარა ჯგუფებად დაიყვნენ და სხვადასხვა ოთახებში გაიფანტნენ. როგორც ჩანდა, მათ იცოდნენ ოფისის გეგმა და შეთანხმებულად მოქმედებდნენ. ერთ-ერთი პიროვნება, რომელიც მე დამესხა თავს რეზინის ხელკეტით იყო შეიარაღებული. ვიგრძენი, რომ ცხვირიდან ღიღი რაოდენობით სისხლი წამსკდა და დავეცი. დავინახე, თუ როგორ სცემდა თავდამსხმელთა სხვა ჯგუფი ლევან რამიშვილს. როდესაც წავიდნენ, მე ვცადე დასახმარებლად დარეკვა, მაგრამ მათ ჩემი მობილური წაიღეს და ოფისის სატელეფონო კაბელებიც განგებ მოგლიჯეს.*

სოზარ სუბელიანმა, თავისუფლების ინსტიტუტის თანამშრომელმა, Human Rights Watch-ს განუცხადა, რომ მას შემდეგ, რაც კორსეტებით შეარაღებულმა პირებმა მას სცემეს, მან მოახერხა ოთახში, კარების უკან ბარიკადირება:

*მე გავიგონე, როგორ ეუბნებოდა ერთ-ერთი მათგანი მეორეს: “სწრაფად, სწრაფად, გაანადგურე ყველაფერი.” მათ ყველაფერი დაამსხვრიეს ოფისის მთავარ ოთახში და გაიქცნენ. მთლიანი თავდასხმა სულ ხუთი-შვიდი წუთი გრძელდებოდა. როცა ისინი გარეთ გავიდნენ, არ გაქცეულან, უბრალოდ სწრაფი ნაბიჯებით გაუჩინარდნენ.*

გასული წლის სამ ივნისს უცნობი პირები შეიჭრნენ თავისუფლების ინსტიტუტის ოფისში და მოიპარეს კომპიუტერის ფაილები. მათ მოიპარეს ვინჩესტერები ყველა ძველი კომპიუტერიდან, მაგრამ ხელი არ უხლიათ ორი ახალი კომპიუტერისთვის. თავისუფლების ინსტიტუტის წარმომადგენელმა Human Rights Watch-თან ინტერვიუში განაცხადა, რომ 2001 წლის ნოემბერში ქალაქის სამხედრო პროკურორის მოადგილემ შეატყობინა მათ, რომ სახელმწიფო დაცვის სამსახურის თანამშრომელი იქნა დაკავებული პარლამენტში ლევან რამიშვილის პირადობის მოწმობის გამოყენებისას, რომელიც ივნისში მომხდარი ქურდობისას დაიკარგა.

10 ივლისის თავდასხმა მოხდა მას შემდეგ, რაც ორი დღით ადრე თავისუფლების ინსტიტუტის ოფისთან მტრული დემონსტრაცია მოაწყვეს პარლამენტის წევრ ულტრანაციონალისტ გურამ შარაძის მომხრეებმა. ტელევიზიით პირდაპირ ეთერში გამართული დებატებისას ლევან რამიშვილმა გურამ შარაძე დაადანაშაულა ეთნიკური და რელიგიური შუღლის გაღვივებაში და გამოთქვა ვარაუდი, რომ საბჭოთა კავშირის

დროს იგი კვბ-სთან თანამშრომლობდა. დემონსტრანტები კვერცხებს ესროდნენ შენობას და გაისმოდა შეძახილები: “ეს თქვენი უკანასკნელი გაფრთხილებაა.”

თავისუფლების ინსტიტუტი თავგამოდებით ეწინააღმდეგებოდა მზარდ რელიგიურ ძალადობასა და შეუმწყნარებლობას, რასაც საქართველოს სამართალდამცავი სტრუქტურები ხელს უწყობდნენ და რეაგირების გარეშე ტოვებდნენ, მაშინ, როცა გურამ შარაძე გამოდიოდა რელიგიური შეუმწყნარებლობის მთავარ საზოგადოებრივ დამცველად. 2001 წლის თებერვალში უზენაესმა სასამართლომ გააუქმა იეჰოვას მოწმეების რეგისტრაცია, მას შემდეგ, რაც გურამ შარაძემ შეიტანა მათი რეგისტრაციის გაუქმების საჩივარი. ამ საქმის განხილვისას და შემდგომაც შარაძე ავრცელებს დემონურ მითებს იეჰოვას მოწმეების შესახებ, რამაც ხელი შეუწყო ძალადობრივი შეუმწყნარებლობის ზრდას. ისინი მოიცავდნენ დაუსაბუთებელ ბრალდებებს იმის შესახებ, რომ თითქოსდა იეჰოვას მოწმეები ავრცელებდნენ მოწამლულ პურს, თითქოსდა, მათ განახორციელეს მასობრივი თვითმკვლელობა გორის ციხიდან გადმოხტომით; ან კიდევ, ადანაშაულებდა მათ ქართული ეკლესიებისა და ხატების წაბილწვაში.

უფრო ადრე, 8 ივლისს, შარაძის მოძრაობა “ჩვენი საქართველო”-ს მომხრეები და მამა ბასილი მკალავიშვილის მიმდევრები, რომელიც რელიგიურ უმცირესობათა წინააღმდეგ განხორციელებული მრავალი თავდასხმის ინიციატორია, რუსთაველის ძეგლთან შეიკრიბნენ. შეკრებილები თავისუფლების ინსტიტუტის ლანძღვას ეწეოდნენ. გაზეთი *ახალი თაობა* შარაძის მომხრე ელიზბარ ჯაველიძის ციტატას იძლევა: “ან ფიზიკურად რას ჰგვანან, ზოგს თავი აქვს დიდი და მხრები პატარა, ზოგს ყბა აქვს ჩამოვარდნილი, ზოგი კიდევ თვალებს აბრიალებს.” გაზეთი *რეზონანსი* კი იუწყება, რომ შარაძე პირადად იმუქრებოდა: “რაც ვერ გავაკეთე პარლამენტში, გავაკეთებ ქუჩაში, ამ სიტყვაში მე მხოლოდ მიტინგს არ ვგულისხმობ.”

Human Rights Watch-ი საქართველოს მთავრობას მოუწოდებს გააუმჯობესოს ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციებისადმი დამოკიდებულება. უკანასკნელი თვეების განმავლობაში მთავრობამ გადადგა ნაბიჯები, რასაც ზოგიერთი ალიქვამს, როგორც მტრულს არასამთავრობო ორგანიზაციებისადმი.

24 აპრილს წარმოთქმულ სიტყვაში, პრეზიდენტ ელუარდ შევარდნაძემ გამოთქვა ვარაუდი ქართული არასამთავრობო ორგანიზაციების საერთაშორისო ტერორისტების მიერ დაფინანსების შესაძლებლობის შესახებ. სავარაუდოდ, ფინანსთა მინისტრის, ზურაბ ნოლაიდელის, მიერ გრანტების კონტროლის კანონმდებლობის მხარდაჭერაზე განცხადებული უარი გახდა იმის საფუძველი, რომ პრეზიდენტ შევარდნაძემ იგი მაისის დასაწყისში გაანთავისუფლა დაკავებული თანამდებობიდან.